იაკობ გოგებაშვილი დიდი ქართველი პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანში.

იაკობ გოგებაშვილმა განათლება თავდაპირველად გორის, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სასწავლებლებში მიიღო. 1855 წელს მან სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. 1861 წლიდან კი იაკობ გოგებაშვილი კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი გახდა. ინტერესიანი ახალგაზრდა ლექციებს პარალელურად კიევის უნივერსიტეტშიც ისმენდა, სადაც განსაკუთრებულად საბუნებისმეტყველო დისციპლინები ხიბლავდა.

ორი წლის შემდეგ, 1863 წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იაკობ გოგებაშვილი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1864 წელს ის თბილისის სასულიერო სასწავლებელში არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად ინიშნება. იაკობ გოგებაშვილმა, როგორც გამორჩეულმა პედაგოგმა და აღმზრდელმა, მოსწავლეთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1868 წელს ის თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისას, იაკობმა სასწავლებელში თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნების შესაბამისი სერიოზული რეფორმები განახორციელა, რამაც ახალგაზრდებში სწავლის ინტერესი გააღვივა და მოსწავლეებს ახალი შესაძლებლობები მისცა.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, იაკობ გოგებაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ.

1865 წელს გამოიცა მისი პირველი სასწავლო საანბანო წიგნი „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, 1868 წელს კი_ „ბუნების კარი“. 1872 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „დარიგება მასწავლებელთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“. 1876 წელს კი მან ქვეყანას შეუქმნა საანბანო წიგნი „დედა ენა“, რომელიც დღემდე ფუნდამენტურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს სკოლებისათვის.

იაკობ გოგებაშვილის პროგრესულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სინოდისა და მეფის ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია და 1874 წელს, იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, თანამდებობიდან მოხსნეს. მას შემდეგ გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა.

იაკობ გოგებაშვილის თაოსნობით შეიქმნა სახალხო სკოლები საქართველოში, რომელიც ფორმალურის ნაცვლად რეალური განათლების მიღებაზე იყო ორიენტირებული. გამორჩეულია მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და

საქმიანობაში. ბეჭდვითი შრომებიდან მიღებული თითქმის მთელი შემოსავლით ის აღნიშნულ საზოგადოებას, ღარიბ მოსწავლეებს, საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტებს და ცალკეულ საზოგადო მოღვაწეებს ეხმარებოდა.

1880 წლიდან იაკობ გოგებაშვილი გამოსცემს საკითხავ წიგნებს სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის, უცხოელ მწერალთა მოთხრობების კრებულებს უფროსი ასაკის ბავშვებისათვის, საბუნებისმეტყველო ხასიათის ელემენტარული მოთხრობების კრებულს და სხვ. იაკობ გოგებაშვილმა დაწერა 150-ზე მეტი ორიგინალური საბავშვო მოთხრობა.

სამშობლოს აღორძინებისთვის და კეთილდღეობისთვის მოღვაწე იაკობ გოგებაშვილმა ქართველი ხალხის განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა.

იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს, 72 წლის ასაკში. ამაგდარი მამულიშვილი დაკრძალულია თბილისში, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.